

აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო კურსების კატალოგი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობები

1. დიპლომი და კვალიფიკაცია :

სპეციალობა: სოციალური მეცნიერებები

სპეციალიზაცია: საერთაშორისო ურთიერთობები

დიპლომის კვალიფიკაცია: სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის ხელმძღვანელი - პროფ. დავით თევზაძე

2. პროგრამის მიზანია, სოციალურ მეცნიერებებში მოამზადოს ფართო პროფილის მქონე სპეციალისტი, რომელსაც ექნება ბაკალავრის შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამაში გათვალისწინებულია ძირითადი თეორიული საბაზო ცოდნის საფუძვლების შექმნა და მასზე პრაქტიკული ნაწილის დაშენება სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა და საერთაშორისო გარემოს დამოუკიდებელი ანალიზის ჩატარებისათვის აუცილებელი უნარების გამომუშავების მიზნით.

სტუდენტს შეძლებს განავითაროს აკადემიური ხარისხი შემდგომ საუნივერსიტეტო საფეხურზე ან შეიძინოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, იმისთვის რომ შეუფერხებლად განახორციელოს პრაქტიკული საქმიანობა, აგრეთვე მიიღოს მონაწილეობა სტრატეგიული დონის გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ამ ნაწილში შეასრულოს გარკვეული ფუნქციები.

3. სწავლის შედეგები:

3.1. ცოდნა და გაცნობიერება: კურსდამთავრებულმა იცის ზოგადსოციალური და პოლიტიკური ცოდნის საფუძვლები, დარგის მნიშვნელობა, თანამედროვე მოთხოვნები და განვითარების პერსპექტივა. აქვს ცოდნა დარგის კვლევითი და გამოყენებითი ხასიათის შესახებ. სოციალურ მეცნიერებათა შიგნით განასხვავებს დარგის კვლევისა და პრაქტიკის ზოგადმეცნიერულ და სპეციფიკურ მეთოდოლოგიებსა და მიდგომებს.

ზოგად სოციალურ მეცნიერებათა ცოდნის ფარგლებში ფლობს პოლიტიკურ და სოციალურ იდეათა ისტორიას, ცივილიზაციათა ტიპოლოგიის და ზოგადი ისტორიის საკითხებს, თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის პრობლემებს.

დარგის ცოდნის ფარგლებში ფლობს საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიებსა და ისტორიას, იცის საერთაშორისო ორგანიზაციები, დიპლომატიური პროტოკოლით გათვალისწინებული ნორმები, ევრო-კავშირის სამეზობლო პოლიტიკა, რეგიონული კონფლიქტები და საქართველოს რეგიონული პოლიტიკა; ეროვნულ უსაფრთხოებასთან და მისი სტრატეგიის ფორმულირებასთან დაკავშირებული სპეციფიკური კურსების შინაარსს და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების მეთოდოლოგიას.

ფლობს პროფესიულ სფეროში მუშაობის მეთოდებს; კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა და სათანადო ეთიკური ნორმები.

3.2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: ბაკალავრს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური საკითხების გარშემო მიმდინარე კვლევებში, ასევე კვლევებში ეროვნული უსაფრთხოების აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებით კრიზისული სცენარის შემუშავებაში და მისი მართვის უზრუნველყოფის პროცესში. სტრატეგიული მართვის პროცესში სხვადასხვა ფუნქციონალურ დავალებათა შესრულება. შეუძლია სხვადასხვა საინფორმაციო წყაროდან შემოსული ინფორმაციის მიზნობრივი შერჩევა.

3.3. დასკვნის გაკეთების უნარი: ბაკალავრი ანალიზებს მოცემულობას და დასაბუთებული დასკვნის სახით უნარი აქვს, დააღაგოს თავისი მოსაზრება.

3.4. კომუნიკაციის უნარი:

3.4.1. კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე: შეუძლია მონაწილეობა დისკუსიაში შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან, რეფერატული სახის ნაშრომის მომზადება, დოკუმენტაციისა და საქმიანი წერილების შედგენა, მოხსენებებისა და პრეზენტაციების მომზადება.

3.4.2. კომუნიკაცია უცხო ენაზე: შეუძლია სხვადასხვა სახის დოკუმენტური მასალის კითხვადა გააზრება, სპეციალისტებთან სამუშაო კონტაქტის დამყარება, განმარტოს თავისი დამოკიდებულება წამოჭრილი საკითხის მიმართ.

3.4.3. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი: შეუძლია ელექტრონულ დოკუმენტებთან და მონაცემთა ბაზებთან მუშაობა, საინფორმაციო სისტემების იდენტიფიცირება, პრეზენტაციის მომზადება.

3.5. სწავლის უნარი: დამოუკიდებლად შეუძლია, სპეციალური ლიტერატურის დახმარებით აიმაღლოს პროფესიული ცოდნის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა.

სასწავლო კურსების ანოტაციები

აკადემიური წერა:

კურსის მიზანია, სტუდენტები დაეუფლონ აკადემიურ წერას - ისწავლონ აზრის გასაგებად, ნათლად, მწყობრად, არგუმენტირებულად ჩამოყალიბება. საკუთარი ორიგინალური თვალსაზრისის დასაბუთებულად წარმოდგენა; საჭირო ინფორმაციის მოძიება, გაანალიზება, სპეციალური ლიტერატურის დამუშავება, თხზულების (ესეს) დაწერა; კონსპექტის, ანოტაციის, რეზიუმეს, რეფერატის სტრუქტურაში გარკვევა, სამეცნიერო სტილის ძირითად მოთხოვნათა გათვალისწინება, დარგობრივი ტერმინოლოგიის, შესიტყვებებისა და ფრაზეოლოგიის სტრუქტურულ მოდელში გარკვევა, ახალი სიტყვათწარმოებითი მოდელის ათვისება. კურსი მსმენელს დაეხმარება წერიტი სიმწელების გადალახვაში, ორთოგრაფიულ გამართულობაზე ზრუნვა.

ლოგიკა და მეცნიერები მეთოდოლოგია:

აღნიშნული კურსის მიზანია, სტუდენტს ჩამოუყალიბოს მკაფიო წარმოდგენა დასაბუთების პრინციპების შესახებ, ასევე მიაჩვიოს კორექტული მსჯელობის წარმართვას, შეფასებას და ანალიზს.

ფსიქოლოგიის შესავალი:

სასწავლო კურსი სტუდენტს მიაწვდის ინფორმაციას ფსიქოლოგიის საგნის, ამოცანების, კვლევის მეთოდების შესახებ; ძირითად ტერმინოლოგიურ და ცნებით აპარატს, ფსიქოლოგიის ისტორიულ საფუძვლებს, მიმდინარეობებს და განვითარების მნიშვნელოვან ეტაპებს. გააცნობს თანამედროვე ფსიქოლოგიის მდგომარეობას, შესაძლებლობებს. განვითარების ტენდენციებს და მნიშვნელოვან თეორიულ ნააზრებს.

ქართული მეტყველების კულტურა:

კურსი სტუდენტს შეასწავლის ქართული ენის ლექსიკურ და ენობრივ საშუალებათა სტილისტიკურ თავისებურებებს; ენათმეცნიერულ სტილთან დაკავშირებულ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს. ძირითადი აქცენტი გადატანილია მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხებზე. სტუდენტები შეიძენენ ასევე პრაქტიკულ ცოდნას.

ინფორმაციული ტექნოლოგიები:

სასწავლო კურსი კურსის მიზნად ისახავს, გააცნოს სტუდენტებს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძვლები, გამოუმუშავოს მათ პერსონალურ კომპიუტერთან მუშაობის უნარი; შეასწავლოს სწავლისა და მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო პროგრამები.

კურსში დასმული მიზნების მისაღწევად სტუდენტი გაეცნობა თანამედროვე პერსონალური კომპიუტერის აგებულებას, ოპერაციულ სისტემას „Windows“, აითვისებს კომპიუტერის მომსახურებას, შეისწავლის გრაფიკულ და ტექსტურ რედაქტორებსა და საოფისე პროგრამებს, ისწავლის ინფორმაციის მოძიებასა და კომუნიკაციისათვის ინტერნეტის გამოყენებას.

გერმანული ენა:

კურსი განკუთვნილია ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს გერმანული ენის **A1 დონის** შესწავლისათვის. სტუდენტი შეძლებს გერმანულ ენაზე კომუნიკაციას ელემენტარულ დონეზე და აუცილებელი ტექსტების გაგებას. ამასთან, სტუდენტი საბოლოოდ აიმაღლებს კვალიფიკაციას და მიაღწევს **A2 დონეს**.

ინგლისური ენა:

კურსი მიზნად ისახავს კურსის წინაპირობებით გათვალისწინებული ცოდნის განმტკიცებასა და ცოდნის გაღრმავებას ძირითადი ასპექტების მიმართულებით (კითხვა, ზეპირმეტყველება, პრაქტიკული გრამატიკა, წერა). სასწავლო კურსის საბოლოო მიზანს წარმოადგენს **B2 დონის** ცოდნა და პრაქტიკული ჩვევების გამომუშავება.

ცივილიზაციათა ისტორია:

კურსი ითვალისწინებს თანამედროვე მსოფლიოში არსებულ ცივილიზაციათა ისტორიის მიმოხილვას, მისი განვითარების გზების, ტიპების და ურთიერთმიმართების შესწავლას; მთავარი მიმდინარეობების, ავტორთა შეხედულებების გაცნობას (ტონზი, მონტესკიე, გიზო, ტოკვილი, შპენგლერი, ტონზი სხვ.). სტუდენტები შეძლებენ დააკავშირონ ცივილიზაციათა მატრიცები და თანამედროვე პოლიტიკური პრობლემების ურთიერთმიმართების მნიშვნელოვანი ასპექტები, აგრეთვე, ქართული ცივილიზაციის მახასიათებლები.

თანამედროვე საზოგადოება:

ამ კურსით სტუდენტი გაეცნობა თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურული განვითარების ძირითად ნიშნებსა და ინდიკატორებს. ინფორმაციული საზოგადოების მოდელს. სახელმწიფოსა და ძალაუფლების ახალ პარადიგმას. ინფორმაციული საზოგადოების კულტურის ადამიანის ყოფიერების თავისებურებას. ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ფილოსოფიურ-სოციოლოგიური პრობლემებისა და ძირითად ცნებების კრიტიკულ ანალიზს.

ევროპული აზროვნების ისტორია:

კურსის მიზანია, სტუდენტმა იცოდეს დასავლური აზროვნების თავისებურება და ამ თავისებურების ჩამოყალიბება, რომელიც, როგორც ცნობილია, ემთხვევა ევროპული ფილოსოფიის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბების პროცესს. სტუდენტი სწავლობს ევროპული ფილოსოფიური აზროვნების წესებსა და მეთოდებს, განვითარების ისტორიას და უმთავრეს ფილოსოფიურ მიმდინარეობებს დღევანდელ ევროპაში.

წერიტი კულტურის საფუძვლები:

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს ქართული ენის ლექსიკურ და ენობრივ საშუალებათა სტილისტიკური თავისებურებების შესწავლას; ენათმეცნიერულ სტილთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული საკითხების გარკვევას ჟურნალისტიკის სპეციალობის სპეციფიკასთან მიმართებით, შეისწავლიან მართლწერისა და მართლმეტყველების წესებს, პრაქტიკული სტილისტიკის საკითხებს.

საერთაშორისო ურთიერთობათა შესავალი :

კურსის მიზანია, გააცნოს სტუდენტს საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც აკადემიური და სამეცნიერო დისციპლინის რაობა. იგი სტუდენტს შეასწავლის დარგის ძირითად თეორიულ და მეთოდოლოგიურ საკითხებს. მისცემს საფუძვლიან ცოდნას მიმართულების ზოგად საფუძვლებზე.

გეოპოლიტიკა :

კურსი ასწავლის გეოპოლიტიკის ძირითად ცნებებს, თეორიებსა და მიმართულებებს, აგრეთვე თანამედროვე გეოპოლიტიკური პროცესის არსს. გააცნობს სტუდენტს მიმდინარე პროცესების წანამდგრებს, ისტორიულ წიაღსვლებსა და პრაქტიკულ ნაბიჯებს.

საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორია :

სასწავლო კურსი ქმნის ბაზისს საერთაშორისო ურთიერთობათა ფართო სპექტრის შესასწავლად. იგი განიხილავს ერთაშორის ურთიერთობებს რომის იმპერიის დაშლიდან - დღემდე. კურსი მიზნად ისახავს

საერთაშორისო ურთიერთობები წარმოადგინოს ისტორიის მთლიან კონტექსტში. იგი იძლევა საფუძველს, რომ სტუდენტმა შემდგომში წარმატების დადებით როგორც თეორიული კურსები, ასევე საერთაშორისო ურთიერთობათა პრაქტიკა.

საერთაშორისო ურთიერთობათა კლასიკური თეორიები :

კურსის მიზანია, სტუდენტს შეუქმნას წარმოდგენა ძირითად თეორიულ მიმდინარეობებზე და კონცეფციებზე საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით; აჩვენოს თეორიული ნაზრების პრაქტიკული გამოყენების საშუალებები. პარალელურად, სტუდენტი ივითარებს თეორიულ ტექსტებთან მუშაობის, დასწავლის და პრეზენტაციების ხერხებს.

დიპლომატიის ხელოვნება :

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებისთვის თანამედროვე საერთაშორისო სისტემის სტრუქტურულ ცვლილებათა, სხვადასხვა ქვეყნების საგარეო უწყებების სტრუქტურისა და საქმიანობის თავისებურებათა, საელჩოებისა და საკონსულოების სტრუქტურისა და საქმიანობის, აგრეთვე მოლაპარაკებების წარმართვის მექანიზმების გაცნობა.

საერთაშორისო პოლიტიკის გლობალიზაცია :

კურსი ავითარებს თანამედროვე პრობლემათა ხედვის გლობალურ ასპექტებს, დამოუკიდებელი კვლევის ჩვევებს. სტუდენტები ისწავლიან თანამედროვე ევროპისა და მსოფლიო პოლიტიკის ვითარებათა დამოუკიდებელ ანალიზს, პრობლემათა განხილვას გლობალიზაციის ჭრილში.

თანამედროვე პოლიტიკური სისტემები :

სასწავლო კურსის მიზანია, სტუდენტებს გააცნოს პოლიტიკური სისტემების ის მრავალგვარობა, რომელიც რეალიზებულია მსოფლიოში დღევანდელი საზოგადოების სახით: ესაა როგორც დასავლეთის ინდუსტრიული საზოგადოებები (დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საფრანგეთის რესპუბლიკა და ა.შ.), ასევე პოსტკომუნისტური, პოსტავტორიტარული, ისლამისტური და „შავი“ აფრიკის განვითარებადი საზოგადოებები (მაგ., ცენტრალური და სამხრეთ ევროპის პოლიტიკური სისტემები, პოლიტიკური სისტემები სამხრეთ ამერიკაში, ირანის ისლამისტური რესპუბლიკა ანდა სამხრეთ საჰარის ქვეყნები). სტუდენტებს ეცოდინებათ, რას ემყარება პოლიტიკურ სისტემათა მოცემული კლასიფიკაცია.

თანამედროვე საზოგადოების სოციალური პრობლემები :

კურსი თეორიულ ცოდნას სძენს სტუდენტს სხვადასხვა საზოგადოებებში არსებულ თანამედროვე სოციალურ პრობლემებზე. შემდგომ ამ პრობლემათა ანალიზზე ფოკუსირდება პრაქტიკული მუშაობისა და კვლევითი ჩვევები.

თანამედროვე სახელმწიფოს ტრანსფორმაცია :

სასწავლო კურსის მიზანია, სტუდენტმა შეძლოს გაიაზროს სახელმწიფოთა წარმოქმნისა და განვითარების ფორმები და ისტორიული ტრანსფორმაციები; სახელმწიფოთა ხასიათის ცვლილება „შემობრუნების“ ან „დერძის“ ეპოქებში, სახელმწიფოთა ტიპოლოგიის ცვლა გლობალიზაციის სხვადასხვა ტალღების შემოტევისას.

ევრო-კავშირის გლობალური და სამეზობლო პოლიტიკა :

სტუდენტი შემოთავზებული კურსით გაეცნობა თანამედროვე ევროპის ჩამოყალიბების პროცესს, პასუხს მიიღებს კითხვაზე - რა არის ამ გაერთიანების თავისებურება. შეისწავლის ევროპული კავშირის სტრუქტურებს, ევროკავშირის საშინაო პოლიტიკის ძირითად ტენდენციებს; შეიქმნის წარმოდგენას ევროკავშირზე, როგორც გლობალური პოლიტიკის ძირითად მოთამაშეზე, გააცნობიერებს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს.

საქართველოს რეგიონული პოლიტიკა :

კურსი გააცნობს სტუდენტს საერთაშორისო და რეგიონული კონფლიქტების წარმოშობის მიზეზებს, ისტორიას, მათ ადგილს საერთაშორისო ურთიერთობების უსაფრთხოების ახალის სისტემის შექმნისას. ამასთან, სამხრეთ კავკასიის, კერძოდ კი საქართველოს მაგალითზე, სტუდენტები შეისწავლიან რეგიონული კონფლიქტების შედეგებს და მათ გავლენას რეგიონალური პოლიტიკის დაგეგმვის დროს, საქართველოს მიდგომებს კონფლიქტების მოგვარების საქმეში.

საერთაშორისო ორგანიზაციები :

კურსის ფარგლებში შეისწავლება საერთაშორისო ორგანიზაციები, მათი სტრუქტურა, ამოცანები, მიზნები და ფუნქციონირების მეთოდები. საერთაშორისო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ სასწავლო კურსი ითვალისწინებს არა მარტო ზოგადი წარმოდგენის შექმნას, არამედ თითოეული ამ კომპონენტის საფუძვლიანად შესწავლას, მყარი ცოდნის ჩამოყალიბებას.

საერთაშორისო სამართლის შესავალი :

საერთაშორისო სამართლის კურსი გამიზნულია იმისთვის, რომ სტუდენტს სრული წარმოდგენა შეექმნას სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების სამართლებრივ ასპექტებზე, ამ ასპექტების რეგულირების მექანიზმებზე და ფორმებზე, საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითად პრინციპებზე და საერთაშორისო სამართლის სუბიექტებზე. მიღებული ცოდნა სტუდენტს დაეხმარება საერთაშორისო ურთიერთობების გააზრებაში და საგარეო პოლიტიკის კონტექსტის გაცნობიერებაში.

ანტიკური ომების ისტორია :

ანტიკური ომების ისტორიის შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ გეოპოლიტიკის შესავალი კურსის გაცნობის შემდგომ. კურსი სტუდენტს ჩამოუყალიბებს მკაფიო წარმოდგენას ომების ხასიათსა და ფორმებზე და იმ პოლიტიკურ ვითარებაზე, რამაც ომი შესაძლოა გარდაუვალი გახადოს. კურსი ასევე განუვითარებს სტუდენტს უნარს, იმსჯელოს ომის, მისი მიზეზებისა და დაპირისპირებულ მხარეთა სტრატეგიული და სამხედრო ამოცანების შესახებ.

ახალი ომების ისტორიის :

კურსი იძლევა ცოდნას თანამედროვე სამხედრო აზრისა და პრაქტიკის განვითარების გზებზე და აღწერს ვითარებას, თუ როგორ ხდებოდა ომის ევროპული მოდელის გარდაქმნა ომის უნივერსალურ დოქტრინად. სტუდენტმა უნდა გააცნობიეროს, რომ აღნიშნული კურსი ორგანული გაგრძელებაა ანტიკური ომების ისტორიის კურსისა, რომელიც წინასწარ უნდა ჰქონდეთ მოსმენილი. კურსის მსმენელებმა უნდა გაიაზრონ, რომ ტექნოლოგიური და სოციალური ცვლილებების მიუხედავად ომი ინარჩუნებს თავის რაობას და რჩება სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ძირითად ინსტრუმენტად როგორც იმპერიების ქმნადობისა და დაშლის, ასევე ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოქმნის პროცესში. კურსის მიზანია, სტუდენტმა გააღრმავოს თავისი ცოდნა ომების ხასიათსა და ფორმებზე, ასევე შეძლოს კვალიფიციური მსჯელობა აღნიშნული საგნის გარშემო.

სტრატეგიული აზრის განვითარების ისტორია :

სტუდენტი იღებს საბაზო ცოდნას კლასიკური სტრატეგიული აზროვნების ევოლუციის შესახებ, აცნობიერებს სტრატეგიის მნიშვნელობას სამხედრო-პოლიტიკური პროცესების მართვისას, აგრეთვე ეცოდინება სამხედრო სტრატეგიის ძირითადი ცნებებისა და ტერმინების შინაარსი და მნიშვნელობა.

ომის თეორია და გლობალიზაციის ეპოქის ომები :

კურსის მიზანია, სტუდენტმა ომების ისტორია დაინახოს არა უშუალოდ ბრძოლების პრაქტიკის ჭრილში, არამედ, როგორც სააზროვნო პროცესი, რომელიც გაპირობებულია იმ კულტურულ-ცივილიზაციური ფონით, რომლის შიგნით ვითარდება ომის პრაქტიკა. კურსის გაცნობის შემდეგ სტუდენტს შეექმნება მკაფიო წარმოდგენა მომავლის ომების შესაძლო სცენარებზე. ისინი განვიითარებენ, ზოგადად, ომების ხასიათსა და ფორმებზე დამოუკიდებელი მსჯელობის უნარს.

ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის განსაზღვრა :

ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის განსაზღვრისა და დაგეგმვის კურსი სავალდებულოა. კურსის ასათვისებლად მსმენელებს უნდა ჰქონდეთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული აკადემიური წერისა და მწყობრი, ლოგიკური აზროვნების მყარი ჩვევები, ფლობდნენ გეოპოლიტიკის შესავალ კურსს და საერთაშორისო ურთიერთობების სასწავლო კურსებს საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში. მათ ასევე მოეთხოვებათ ანტიკური და ახალი დროის ომების ისტორიის ცოდნა.

კურსი სტუდენტს მისცემს ცოდნას: ა) ომი გააცნობიეროს, როგორც პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი და ჩამოუყალიბოს მკაფიო წარმოდგენა ომის ბუნებისა და ომის წარმოების შესახებ,

ბ) შეძლოს ომის პოლიტიკურ მიზანთა განსაზღვრა და სტრატეგიული საზრისის პოვნა,

გ) გააცნობიეროს ქვეყნის უსაფრთხოების სტრატეგიის რეალური შინაარსი.

თანამედროვე საზოგადოება :

ამ კურსით სტუდენტი გაეცნობა თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურული განვითარების ძირითად ნიშნებსა და ინდიკატორებს. ინფორმაციული საზოგადოების მოდელს. სახელმწიფოსა და ძალაუფლების ახალ პარადიგმას. ინფორმაციული საზოგადოების კულტურის ადამიანის ყოფიერების თავისებურებას. ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ფილოსოფიურ-სოციოლოგიური პრობლემატიკისა და ძირითად ცნებების კრიტიკულ ანალიზს.

ცივილიზაციათა ზოგადი ისტორია :

კურსი ითვალისწინებს თანამედროვე მსოფლიოში არსებულ ცივილიზაციათა ისტორიის მიმოხილვას, მისი განვითარების გზების, ტიპების და ურთიერთმიმართების შესწავლას; მთავარი მიმდინარეობების, ავტორთა შეხედულებების გაცნობას (ტოინბი, მონტესკიე, გიზო, ტოკვილი, შპენგლერი, ტოინბი სხვ.). სტუდენტები შეძლებენ დააკავშირონ ცივილიზაციათა მატრიცები და თანამედროვე პოლიტიკური პრობლემატიკის ურთიერთმიმართების მნიშვნელოვანი ასპექტები, აგრეთვე, ქართული ცივილიზაციის მახასიათებლები.

ზოგადი სამართალი :

სტუდენტი გაეცნობა სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს, სამართლის სისტემის ძირითად თავისებურებებს, ინსტიტუტებსა და უზოგადეს ცნებებს; შეიქმნის წარმოდგენას სახელმწიფოს მოწყობისა და მმართველობის ფორმებზე, დამახასიათებელ თავისებურებებზე და შესაბამის ინსტიტუტებზე; ადამიანის ძირითად უფლებებზე და თავისუფლებებზე, ზოგადსამართლებრივ ღირებულებებზე და პროფესიული ეთიკის ნორმებზე. მიღებული ცოდნა კურსის მსმენელს ნათელ წარმოდგენას შეუქმნის სამოქალაქო საზოგადოებაში ადაპტაციის პროცესის თავისებურებებზე.

დასავლური აზროვნების ისტორია :

კურსის მიზანია, სტუდენტმა იცოდეს დასავლური აზროვნების თავისებურება და ამ თავისებურების ჩამოყალიბება, რომელიც, როგორც ცნობილია, ემთხვევა ევროპული ფილოსოფიის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბების პროცესს. სტუდენტი სწავლობს ევროპული ფილოსოფიური აზროვნების წესებსა და მეთოდებს, განვითარების ისტორიას და უმთავრეს ფილოსოფიურ მიმდინარეობებს დღევანდელ ევროპაში.

იმპერიები და ეროვნული სახელმწიფოები:

სტუდენტი ზოგადად გაეცნობა იმპერიების ფენომენს, იმპერიათა ზოგად ისტორიას და ტიპოლოგიას, ერისა და ეროვნული სახელმწიფოს განვითარებას იმპერიების შიგნით და მათი რღვევის პროცესში. ეროვნული და სახელმწიფოებრივი არსებობის პრობლემატიკას ცვალებად მსოფლიოში; ქართველი ერისა და საქართველოს რეალურ სასიცოცხლო ინტერესებს, პოლიტიკურ ორიენტირებს და ვექტორებს თანამედროვე იმპერიული ტენდენციების პირობებში. ძირითად ცნებებსა და მეთოდოლოგიურ მინიშნებებს, რაც აუცილებელი იქნება აღნიშნული საკითხების დამოუკიდებლად კვლევისათვის.

პოლიტიკურ იდეათა ისტორია :

კურსი სტუდენტს შეასწავლის პოლიტიკური თეორიების ისტორიის მნიშვნელოვან ასპექტებს. განუვითარებს ამ უკანასკნელთა მიმართ საკუთარი ხედვის, პოზიციის ჩამოყალიბების და დამოკიდებულების არგუმენტირებულად გადმოცემის უნარს.

პრაქტიკა :

ტარდება სპეციალიზირებული ტრენინგებისა და დამოუკიდებელი კვლევების ფორმით, რომელიც ინფორმაციასთან სპეციფიკური მუშაობის ჩვევების გამომუშავებას გულისხმობს.